პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 41 (5850)
27 თებერვალი, 1977 წ. კვირა.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

საქმის ცნობა

პროგრამა წარმატებით შესრულდა

„სოიუზ-24“ ხომალდის ეკიპაჟი დედამიწაზე დაბრუნდა

1977 წლის 25 თებერვალს „სალუტ-5“ ორბიტულ სამეცნიერო სადგურში სამუშაოთა პროგრამის წარმატებით დამთავრების შემდეგ კოსმონავტები ამხანაგები ვიქტორ ვასილის-ძე გორბატკო და იური ნიკოლოზის-ძე გლაზკოვი დედამიწაზე დაბრუნდნენ.

„სოიუზ-24“ სატრანსპორტო ხომალდის დასაშვები აპარატი რბილად დაჯდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიის დასახულ რაიონში ქალაქ არკალიკის ჩრდილო-აღმოსავლეთით 36 კილომეტრზე.

დედამიწაზე დაშვების შემდეგ კოსმონავტები თავს კარგად გრძნობენ.

„სალუტ-5“ ორბიტულ სამეცნიერო სადგურში ორი ექსპედიციის კვლევის დაგეგმილი პროგრამა წარმატებით დამთავრდა.

დედამიწისირგვლივ ორბიტაზე კოსმონავტთა ორი ეკიპაჟის მუშაობის დროს მიღებული მეცნიერული კვლევის შედეგები გამოყენებულ იქნება სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და ტექნიკის ინტერესებისათვის, აგრეთვე ახალი კოსმოსური აპარატების შექმნის დროს.

„სალუტ-5“ სადგური განაგრძობს მართულ ფრენას ავტომატური რეჟიმით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გატარებისთვის ბრძოლაში აქტიურად ჩაებნენ დედაქალაქის სავაჭრო დაწესებულებების ახალგაზრდა თანამშრომლები. ერთ-ერთი მათგანია „დინამოს“ № 1 მაღაზიის კოლექტივი.

* * *

სურათზე: მომსახურების სფეროს ახალგაზრდა მუშაკთა რესპუბლიკური შეკრების მონაწილენი „საქსპორტვაჭრობის“ თბილისის „დინამოს“ № 1 მაღაზიის თანამშრომლები მარცხნიდან — ლელა გოგოლაძე, ნაზი სიმაევა და ნაირა გაგოევა ახალგაზრდა მომხმარებლებს სპორტული საქონლის შერჩევაში ეხმარებიან.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

ახალი ამოცანების წინაშე

მომსახურების სფეროს ახალგაზრდა მუშაკთა რესპუბლიკური შეკრება

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმმა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი დასახა რესპუბლიკაში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისთვის. მომსახურების სფეროს მუშაკთა მუდმივი საზრუნავი, თუ ისინი პასუხისმგებლობას გრძნობენ, ადამიანებისთვის სიამოვნების მინიჭება უნდა იყოს.

მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურებასთან დაკავშირებული პროფესიების საზოგადო მნიშვნელობის ასამაღლებლად ახლა ყველგან იმართება თათბირები, აქტივის კრებები...

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს მოწინავე ახალგაზრდობის რესპუბლიკური შეკრება.

ამ დიდ თავყრილობაში 6 ათასზე მეტი კაცი მონაწილეობდა. რესპუბლიკის ყველა კუთხიდან ჩამოსული სპეციალისტების გარდა, შეკრებას ესწრებოდნენ ვაჭრობისა და მომსახურების სისტემის საუკეთესო დამრიგებლები, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების შესაბამისი დარგების მოსწავლეები, ახალგაზრდა მეცნიერები, მოწინავე ობიექტების, მომსახურეთა სფეროს სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები, კომკავშირული მუშაკები, მუშათა კლასის, გლეხობის, ინტელიგენციის, საბჭოთა არმიის წარმომადგენლები.

შეკრებას წინ უძღოდა ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგებში მომუშავე ახალგაზრდების შრომითი დათვალიერება. მხოლოდ გამარჯვებულებს, დაწინაურებული ობიექტების კომკავშირულ-ახალგაზრდული კოლექტივების ხელმძღვანელებს ეძლეოდათ ამ შეკრებაში მონაწილეობის უფლება.

შეკრების მონაწილენი შინ დაბრუნდებიან ახალი იდეებით შთაგონებულნი — იბრძოლონ იმისთვის, რომ კიდევ უფრო მეტად აუწყონ ფეხი რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს, მშრომელებს, რომლებიც საყოველთაო-სახალხო ბრძოლას აჩაღებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისთვის.

საქართველოს კომკავშირს — გარდამავალი წითელი დროშა

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებით საქართველოს კომკავშირული ორგანიზაცია 1976 წელს ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში მოპოვებული წარმატებებისათვის დაჯილდოებულია საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით

ლენინური კომკავშირი, მთელი საბჭოთა ახალგაზრდობა განსაკუთრებული აქტივობითა და ენთუზიაზმით იბრძვის სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, საქმით უპასუხებს პარტიის მოთხოვნას იმუშაოს უკეთ, აამაღლოს ეფექტიანობა და ხარისხი. კომკავშირული კომიტეტები დაბეჯითებით სრულყოფენ მუშაობას ჭაბუკებისა და ქალიშვილების აღზრდისათვის კომუნისტური იდეურობის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, სსრ კავშირის შრომისა და თავდაცვისათვის მზადყოფნის სულისკვეთებით. მილიონობით ჭაბუკი და ქალიშვილი ღირსეულად დგას ოქტომბრის შრომით ვახტზე, იღვწის საპატიო უფლებისათვის ხელი მოაწეროს ლენინური კომკავშირის პატაკს სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის.

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ, რომელმაც განიხილა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის 1976 წელს რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის დათვალიერების შედეგები, ხუთი მოკავშირე რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციასთან ერთად სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა „ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში მოპოვებული წარმატებებისათვის“ მიანიჭა საქართველოს კომკავშირულ ორგანიზაციას.

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მოუწოდა კომკავშირულ ორგანიზაციებს, ყველა კომკავშირელსა და ახალგაზრდას ამრავლონ თავიანთი მეცადინეობა პარტიის XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, დაბეჯითებით სრულყონ ჭაბუკებისა და ქალიშვილების პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდა, თავდადებული შრომით, წარჩინებული სწავლით, სანიმუშო მხედრული სამსახურით, მეცნიერულ-ტექნიკურ და მხატვრულ შემოქმედებაში მიღწეული წარმატებებით, სპორტში მოპოვებული ახალი გამარჯვებებით აღნიშნონ დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავი.

კალათბურთი

ის, რაც რეპორტაჟს მიღმაა

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტდარბაზი. 25 თებერვალი.

„დინამო“ (თბილისი) — „კალევი“ (ტალინი) 96:84 (49:30).

„დინამო“: მ. ქორქია (24), დერიუგინი (16), პულავსკი (14), ბიჭიაშვილი (12), ნ. ქორქია (8), ჩხიკვაძე (6), ძიძიგური (6), გულდედავა (6), ჩიხლაძე (4), ქარსელაძე, ჯგერენაია.

„კალევი“: აბელიანოვი (28), ვარული (17), ტამისტე (10), ლენციონსი (9), ფილატოვი (9), ვიქტოროვი (4), ლაური (4), კრიკუნი (2), აავიკსო (1), სალუმეტსი.

მსაჯები: ლ. ფლიგელმანი, ი. დაკტაროვიჩი (ორივე — ოდესა).

დუბლიორები — 82:86 (52:49).

ზოგჯერ საოცრად ცვალებადია და მერყევი უბრალო საკალათბურთო ჭეშმარიტება. თითქოს დადგენილი ფაქტი იყო, რომ ტალინის „კალევი“ ჩვენი გუნდისთვის უხერხული და უსიამოვნო მეტოქეა. ეს აზრი გაგვიმტკიცა საკავშირო ჩემპიონატების მრავალი წლის პრაქტიკამ. გუშინწინ თბილისის „დინამომ“ დაამარცხა ტრადიციული მეტოქე ადვილად, ისე, რომ არც ერთ მომენტში შედეგი საეჭვო არ ყოფილა.

თბილისის „დინამო“ ამჟამად აღმავლობის გზაზეა — ესეც დადგენილი ფაქტია, მაგრამ რას უნდა ნიშნავდეს აღმავლობა, თუ მას ზურგს არ უმაგრებს რაღაც რეალური ძალა?

დღევანდელი „დინამოს“ ძალა არ უნდა განვსაზღვროთ შიშველი ენთუზიაზმით, იმ უპირატესობით, რასაც გუნდი საკავშირო ჩემპიონატის ბოლო მატჩებში აღწევს. ეს უფრო რეალური ძალაა, რომელიც გუნდის თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმალურ გამოყენებაზეა დაფუძნებული. შარშანდელთან შედარებით „დინამოს“ ცხოვრებაში არსებითი არაფერი მომხდარა. მაგრამ ის, რაც ჯერ კიდევ გუშინ საეჭვო და ექსპერიმენტული იყო, დღეს კანონის ძალას ატარებს და ეს კანონი გუნდს ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი.

ისევ და ისევ ცსკა-სთან შეხვედრის ზოგიერთი დეტალი მინდა გავიხსენო. და როდესაც ყველა ამ მოგონებას თავს ერთად ვუყრი, ვრწმუნდები, რომ ფსიქოლოგიური ფაქტორი დღევანდელ რთულ და დაძაბულ ტურნირში არც ისე უბრალო, ხელწამოსაკრავი უპირატესობაა. ამ უპირატესობის თანახმად, ჩვენმა გუნდმა ორი კვირის წინ პირველმა შეარყია დაუმარცხებელი გუნდის პოზიციები. ამ მატჩს ოდნავ უფრო ლოგიკური ფინალი რომ ჰქონოდა, თბილისის „დინამოს“ მოსკოველი თანაკლუბელები პრიორიტეტს ვერ წაართმევდნენ (როგორც ცნობილია, პირველი ქულა ცსკა-მ მოსკოვის „დინამოსთან“ თამაშში დაკარგა).

მაგრამ რთული ფსიქოლოგიური ბრძოლის ნიუანსებში, ისეთი გადამწყვეტი მნიშვნელობა შედეგს არა აქვს, როგორიც თვით პროცესისა და ფაქტის რეალურობას. ცსკა-მ იმ ბრძოლის შედეგად ქულა შეიძინა, მაგრამ რწმენა დაკარგა, რამაც, სხვათა შორის, მომდევნო შეხვედრებშივე იჩინა თავი. „დინამომ“ — პირიქით, დაკარგა ქულა, სამაგიეროდ, ისეთი ფსიქოლოგიური სტიმული მიიღო, რომელიც თამამად შეიძლება გასწვდეს ერთ ჩემპიონატს.

ესტონეთის გუნდი ჩვენი საკალათბურთო ცხოვრების ისტორიაში საკმაოდ ორიგინალური და ანგარიშგასაწევი მოვლენაა, რომელმაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ამ ცხოვრების ხასიათი და მომავალი. ესტონური კალათბურთი არასდროს ყოფილა უმაღლესი მწვერვალის უშუალო მოიერიშე. ამ როლს იგი „ჯენტლმენურად“ უთმობდა ხან მოსკოვს, ხან თბილისს, ხან კი კაუნასს. სამაგიეროდ, ამ სამი ქალაქის საკალათბურთო ცხოვრების ფორმირებაში მუდამ გარკვეულ როლს თამაშობდა როგორც ფორმის მხრივ, ისე შინაარსით.

მას ამ როლს ვერც დღეს წავართმევთ. „კალევი“ მუდამ თანამედროვე კალათბურთს თამაშობს და იბრძვის

(დასასრული მე-3 გვ.).

თხილამურები

„ლელოს“ პრიზებზე

ბაკურიანი, 26 თებერვალი. (ტელეფონით). დღეს აქ დაიწყო საკავშირო გუნდური შეჯიბრების მესამე ეტაპის ასპარეზობა გაზეთ „ლელოს“ პრიზებზე.

გამარჯვებისათვის საბრძოლველად თავი მოიყარეს „სპარტაკის“, „შრომითი რეზერვების“, „ტრუდის“, „ზენიტის“, „ბურევესტნიკის“, „კრასნოე ზნამიას“ და სხვა სპორტსაზოგადოებათა საუკეთესო ძალებმა.

„დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ინტერესების დაცვა ბაკურიანის სპორტული ჯგუფის აღსაზრდელებს დაევალათ. ჩვენი მოზარდებისთვის ეს ასპარეზობა შესანიშნავი სკოლა იქნება სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის მორიგი სპარტაკიადის წინ. სულ ბაკურიანში ჩვენი გაზეთის პრიზებისთვის 86 სამთომოთხილამურე იბრძოლებს.

დღეს ვაჟები გიგანტური სლალომის 1300-მეტრიან ტრასაზე შეეჯიბრებიან ერთმანეთს და 30 კარი ექნებათ გასავლელი. ხვალ კი ბრძოლაში ჩაებმებიან ქალები, რომლებიც ასევე გიგანტურ სლალომში ცდიან ძალას. ასპარეზობის პროგრამაშია, აგრეთვე, სწრაფდაშვება და სპეციალური სლალომი, მაგრამ იმის გამო, რომ თოვლი კოხტაგორის ფერდობებზეც კი ცოტაა, პროგრამაში მოსალოდნელია ზოგიერთი ცვლილება.

შეჯიბრების მონაწილენი ბაკურიანს ეწვიენ პირდაპირ სლავსკიდან, სადაც გაიმართა საკავშირო გუნდური შეჯიბრების მეორე ეტაპი „კარპატის“ პრიზზე. როგორც ცნობილია, იქ ყველას აჯობეს ტ. პერჩატკინამ და ვ. სინეტოვმა, რომლებმაც სამჭიდში ყველაზე ნაკლები საჯარიმო ქულა მიიღეს.

ზ. კუტალაძე,
საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი სათხილამურო სპორტში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვთა სპორტი — საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში

ბავშვთა სპორტი, მოზარდის სულიერი და ფიზიკური აღზრდა-განვითარება, ბავშვი და სკოლა, ფიზაღზრდის გაკვეთილი, სპორტული მოედნები და დარბაზები — ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც ბავშვთან, მოზარდ თაობასთან არის დაკავშირებული, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში დგას. როგორ ვზრდით ბავშვს, რა პირობებს ვუქმნით მას ჰარმონიულად განვითარებისთვის, რა ძირითადი პრობლემები და ნაკლოვანებანი გვაქვს ამ მხრივ? ვფიქრობთ, ამ თემაზე პრინციპული და საქმიანი საუბარი დღეს აუცილებელია.

ამჯერად ჩვენი რედაქციის სტუმარია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილების უფროსი **რევაზ აიწურაძე**. ჩვენ მას ვთხოვეთ პასუხი გაეცა რამდენიმე შეკითხვაზე:

● **როგორც ცნობილია, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის 3 ივნისის დადგენილება „რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისთვის საქართველოს სპორტკომიტეტის მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ“ მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდასა და ბავშვთა სპორტის განვითარებასაც შეეხო...**

— აღნიშნული დადგენილების შესასრულებლად განათლების სამინისტრომ მთელი რიგი სერიოზული ღონისძიებები განახორციელა. სკოლებში ამაღლდა ფიზკულტურის სწავლების დონე, უმჯობესდება კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა, მიღებულია ზომები სასწავლო-სპორტული ბაზების განმტკიცებისთვის. ბოლო ორი წლის განმავლობაში რესპუბლიკაში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 100-ზე მეტი სპორტული დარბაზი და ნაგებობა. 3733 ფიზაღზრდის მასწავლებლიდან უმაღლესი სპეციალური განათლება აქვს 2661 კაცს, ესე იგი, 71 პროცენტს. 1179 ფიზაღზრდის მასწავლებელმა აიმაღლა კვალიფიკაცია. სამინისტროს სისტემის ბავშვთა და მოზარდთა 120 სპორტულ სკოლაში ოსტატობას რეგულარულად 40 ათასზე მეტი მოსწავლე იმაღლებს.

ნორჩ სპორტსმენთა დაოსტატებას ემსახურება, აგრეთვე, სწავლების გახანგრძლივებულდღიანი სპორტული კლასები სახეობათა მიხედვით, რომელთა რიცხვმა ორმოცდაათს მიაღწია. 1974-1975 სასწავლო წლებში კი მხოლოდ 19 სპორტული კლასი გვქონდა.

გაიზარდა რესპუბლიკური შეჯიბრებების რიცხვი, ამაღლდა თვით ასპარეზობათა ხარისხი, ყოველწლიურად ტარდება მოსწავლეთა სპარტაკიადები ოცდასამ სახეობაში.

ჩატარდა აქტივის კრება, რომელმაც განიხილა განათლების სისტემაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების საკითხი. შემუშავდა და ხორციელდება პრაქტიკულ ღონისძიებათა გეგმა, რომელშიც კონკრეტულადაა გაანალიზებული სკოლებში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაუმჯობესების გზები და საშუალებანი.

ფიზკულტურული და სპორტული საქმიანობის ყველა სფეროში მნიშვნელოვნად გაძლიერდა მომთხოვნელობა, შესრულების კონტროლი და შემოწმება. გააქტიურდა ბრძოლა უდარდელობის, ბიუროკრატიზმის, ფორმალიზმის გამოვლინებათა წინააღმდეგ. შესწავლილია ბავშვთა და მოზარდთა თითოეული სპორტსკოლის მუშაობის ავკარგი, დაისახა ღონისძიებები სპორტსკოლების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, მჭიდრო და საქმიანი კონტაქტი მყარდება საქართველოს სპორტკომიტეტთან, საქართველოს პროფსაბჭოსთან, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან. აღნიშნულ ორგანოებთან ერთად მიღებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელთა განხორციელებაზეც დაწესებულია მტკიცე კონტროლი.

განათლების სამინისტროს კოლეგიის სხდომებზე ხშირად იმართება პრინციპული სჯა-ბაასი მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საკითხებზე.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ორგანიზაციულ-მეთოდური ხელმძღვანელობა განათლების ადგილობრივი ორგანოებისადმი. ბოლო ორი წლის მანძილზე განათლების სამინისტრომ გამოსცა 20 სხვადასხვა სახის საინსტრუქციო-მეთოდური მასალა, საპროგრამო და სანორმატივო დოკუმენტი.

რეგულარულად გამოდის საინფორმაციო მეთოდური ბიულეტენები. „მართვე“ სისტემატურ მეთოდურ დახმარებას უწევს ფიზაღზრდის მასწავლებლებსა და მწვრთნელებს.

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე სწავლების ხარისხის ამაღლებისთვის განათლების მინისტრმა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის ძირეულად გაუმჯობესება დასახა. ეს საკითხი რესპუბლიკის სკოლების დირექტორებისა და სახალხო განათლების მუშაკთა საოლქო, საქალაქო და ზონალურ თათბირებზე საგანგებო მსჯელობის საგნად იქცა.

განათლების მინისტრის ბრძანებით რესპუბლიკის სკოლებს დაევალათ პრაქტიკაში დანერგონ მოსწავლეთა შორის გამამხნევებელი ვარჯიში, აამაღლონ ფიზკულტურის გაკვეთილის როლი და ფიზაღზრდის მასწავლებლების პასუხისმგებლობა. ფიზიკური წრთობის ყოველდღიური ინდივიდუალური უნარჩვევების გამომუშავების მიზნით საჭიროა ამ საგანში საშინაო დავალებების შემოღება. გარდა ამისა, მიღებული იქნება ზომები სკოლებთან მარტივი ტიპის სპორტული მოედნებისა და ნაგებობების მოსაწყობად, განხორციელდება სხვა კომპლექსური ღონისძიებანი.

გასულ თვეში საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა გამოსცა ბრძანება, რომელიც ითვალისწინებს 1977 წლის 1 სექტემბრიდან რესპუბლიკის ყველა სკოლაში დიდი დასვენების დაწესებას. დამტკიცდა მეთოდური რეკომენდაციები ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი დასვენებისთვის. ამჟამად დგება მოძრავი თამაშების კრებული, რომელიც უახლოეს ხანში სახელმძღვანელოდ დაეგზავნებათ განათლების ადგილობრივ ორგანოებს.

გადავაქციოთ ფიზკულტურა ნამდვილ სასწავლო საგნად!



● **უკანასკნელ წლებში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის სისტემამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. გარკვეულ პერიოდში ფიზიკურ აღზრდაზე ყურადღების და პასუხისმგებლობის შესუსტებამ, რიგ სკოლებში დამკვიდრებულმა გულგრილობამ, შემწყნარებლობამ გამოიწვია ის, რომ ფიზიკურმა აღზრდამ, როგორც სრულუფლებიანმა სასკოლო დისციპლინამ, ნაწილობრივ დაკარგა თავისი მნიშვნელობა და ავტორიტეტი. თქვენ რას იტყოდით ამის შესახებ?**

— ბევრ სკოლაში დამკვიდრდა ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შეფასების ისეთი არასწორი პრაქტიკა, როგორიცაა „რეკორდომანიით“ გატაცება. საკითხს თითო-ოროლა მოსწავლე-სპორტსმენის მიერ მოპოვებული სიგელები თუ დიპლომები წყვეტდა. ამ ტენდენციამ ერთგვარად შეაფერხა სკოლებში ფიზიკური აღზრდის დანერგვა-განვითარება. თვით ფიზაღზრდის მასწავლებელი, სასკოლო ფიზკულტურული მოძრაობის ეს ცენტრალური ფიგურა, თავისი ძირითადი ფუნქციების საზიანოდ, სპორტულ მწვრთნელად გადაიქცა.

სათანადო ყურადღება არ ექცეოდა ფიზაღზრდის მასწავლებელთა ხელახალ მომზადებას. რესპუბლიკაში, უწინარეს ყოვლისა სოფლის სკოლებში, დღემდე არ გვყოფნის კვალიფიციური, სპეციალისტი მასწავლებლები.

ფიზაღზრდის გაკვეთილები ბევრგან უფერულად და უინტერესოდ ტარდება, დაბალია მათი სიმკვრივე და პროდუქტიულობა. განსაკუთრებით დაბალია ამ საგნის სწავლების დონე დაწყებით კლასებში, სადაც არასპეციალისტები მუშაობენ.

გაკვეთილის მთავარ ატრიბუტად ბურთი და სასტვენი იქცა, მოზარდებში იგი უწინდებურად დადებით ემოციებს აღარ იწვევს. მათი უმრავლესობა გაკვეთილებზე ფორმალურად, მოვალეობის მოხდის მიზნით დადის.

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ჯერ კიდევ ვერ განხორციელდა მოთხოვნა — ფიზკულტურა იქცეს ნამდვილ სასწავლო საგნად!

● **რას გვეტყოდით კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის შესახებ?**

— გულახდილად უნდა ვაღიაროთ, რომ სკოლების უმრავლესობაში კლასგარეშე მუშაობა სრულიად დავიწყებულია. სასკოლო ფიზკულტურულ კოლექტივებში გაერთიანებულია 330 ათასამდე მოსწავლე (საერთო რაოდენობის 49,2 პროცენტი). უშუალოდ სკოლების ფიზკულტურის სექციებსა და წრეებში მოსწავლეები ნაკლებად არიან ჩაბმული. მათი უმრავლესობა ეპიზოდურად მონაწილეობს სხვადასხვა გამაჯანსაღებელ ღონისძიებაში.

ფიზკულტურული კოლექტივი ბევრგან მხოლოდ ფორმალურად არსებობს. რეგულარულად არ ტარდება შიდასასკოლო სპარტაკიადები, მასობრივი შეჯიბრებები „იმედების სტარტის“ პროგრამით, სპორტული კვირეულები. არადამაკმაყოფილებელია ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდა, სპორტული ღონისძიებები ორგანიზაციულად დაბალ დონეზე ტარდება, ასპარეზობებზე არ იგრძნობა საზეიმო განწყობილება.

მიუხედავად იმისა, რომ განათლების სამინისტრომ მთელი რიგი ღონისძიებები განახორციელა მშდ კომპლექსის დანერგვის საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, ფიზკულტურულ-მასობრივი გამაჯანსაღებელი მუშაობის ფართოდ გაშლისთვის ამ კომპლექსის მოთხოვნები სათანადოდ ჯერ კიდევ არ არის გამოყენებული. ეს არის მიზეზი, რომ მშდ-ს ნიშნოსანია მოსწავლეთა მხოლოდ 19,2 პროცენტი. ამ მხრივ რესპუბლიკა საბჭოთა კავშირში ბოლოსწინა ადგილზეა. ამასთან, ნიშნოსანთა მომზადებისას ხშირად გვხვდება მიწერის, სიყალბის ფაქტები.

ძალზე ჩამორჩა ბავშვებთან და მოზარდებთან მუშაობა საცხოვრებელი ადგილების მიხედვით. ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების რიცხვი მცირეა. ბევრი სკოლა გამოუსადეგარ შენობაშია შეხიზნული, სუსტია მათი მატერიალური ბაზა.

სასწავლო პროგრამის გადატვირთვა, თანამედროვე ცხოვრების პირობები, ეზოების ნაკლებობა და სხვა მიზეზები თანდათან ამცირებს ბავშვის ფიზიკურ მოძრაობას: ერთსა და იმავე მდგომარეობაში ხანგრძლივად ყოფნა მერხთან, მაგიდასთან, ტელევიზორთან ხელს უწყობს ბავშვის ხერხემლის დეფორმირებას, წონაში ჭარბ მატებას, ნერვული სისტემისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს.

დღეისთვის რესპუბლიკაში სუსტი ჯანმრთელობის გამო ათასზე მეტი მოზარდი საერთოდ განთავისუფლებულია ფიზკულტურის გაკვეთილიდან.

სამწუხაროდ, მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის დღევანდელი პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს აუცილებელ მოძრაობითს რეჟიმს.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა პირველ კლასებში ჩატარებული მეცნიერული დაკვირვების შედეგად დაადგინა, რომ ბავშვებს, რომელთა სასწავლო დღე 3,5 ასტრონომიულ საათს არ აღემატება, მაშინაც კი, როცა ფიზიკური აღზრდის გაკვეთილი უტარდებათ, დღის რეჟიმი ფიზიკური მოძრაობით დატვირთული აქვთ მხოლოდ 35,7 პროცენტით, დანარჩენი დრო (64,3 პროცენტი) გონებრივ დატვირთვაზე იხარჯება. ამ 35,7 პროცენტში, ფიზაღზრდის გაკვეთილის გარდა, შედის დილის ვარჯიში და გაკვეთილებს შორის დასვენებების დრო, რაც აქტიური მოძრაობით არ არის დატვირთული. ამავე ინსტიტუტის დასკვნით, კვირეული დატვირთვის დაანგარიშების შედეგად, მოძრაობითი აქტივობისთვის მოსწავლეებს დროის მხოლოდ 21,4 პროცენტი აქვთ გამოყოფილი. როგორც ცნობილია, მაღალ კლასებში გონებრივი დატვირთვა მატულობს, ხოლო მოძრაობითი აქტივობა მცირდება. აქედან გამომდინარე, ფიზაღზრდის გაკვეთილები ყოველდღიურადაც რომ ჩატარდეს, „მოძრაობის შიმშილი“ მაშინაც კი არ იქნება დაძლეული. ამიტომ ამ მიმართებით განათლების სამინისტროს მუშაობის მაგისტრალურ ხაზად მიჩნეულია არსებულ შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოყენება. საჭიროა მოსწავლეებს ვასწავლოთ დამოუკიდებლად ვარჯიშის წესები, მივცეთ საჭირო ცოდნა-ჩვევები, გამოვუმუშაოთ ყოველდღიური ფიზიკური ვარჯიშის მოთხოვნილება. ამ მიზნის მისაღწევად ბევრი რამ უკვე გაკეთდა.

● **რა პრობლემებია დღეს გადასაჭრელი ბავშვთა სპორტში?**

— რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არ გვაქვს ბავშვთა სპორტის განვითარებისთვის აუცილებელი ერთიანი, მწყობრი სისტემა. განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლების უმრავლესობა, სკოლა-ინტერნატები ვერ ამართლებენ თავიანთ დანიშნულებას. სპორტსკოლებში მუშაობა ძირითადად თვითდინებაზეა მიშვებული. თითქმის ყველგან პრიმიტიულად მიმდინარეობს სასწავლო-საწვრთნელი პროცესი, ვერ ვიყენებთ პერსპექტიული მოზარდების შერჩევის, სპორტსმენთა მომზადების, წვრთნის თანამედროვე ფორმებსა და მეთოდებს. სკოლების 45 პროცენტი ვერ ასრულებს დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. მოუგვარებელია მწვრთნელთა პროფესიული დაოსტატებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საკითხი. მწვრთნელთა დიდი ნაწილი შეთავსებით მუშაობს.

სპორტული რეზერვების მოსამზადებლად არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ გლდანის 1-ლი და მე-2 სკოლა-ინტერნატები. აქ წლობით ვერ ასრულებენ არა მარტო მაღალთანრიგოსნების, არამედ საშუალო თანრიგის სპორტსმენთა მომზადების გეგმებსაც კი.

ბავშვთა სპორტში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად საქართველოს სპორტკომიტეტთან ერთად განათლების სამინისტრო ახორციელებს და კვლავაც განახორციელებს სერიოზულ ღონისძიებებს.

სამინისტრომ განათლების ადგილობრივ ორგანოებს დაავალა მოაგვარონ სპორტულ შეჯიბრებებში მოსწავლეთა მონაწილეობის საკითხი. კატეგორიულად აიკრძალა განათლების სამინისტროს სპორტსკოლების მოსწავლეთა გამოყვანა სხვა სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების სახელით, ვინაიდან სწორედ ეს იწვევდა ამ ორგანიზაციებში ბავშვთა სპორტის განვითარების საკითხში ფორმალიზმსა და სიყალბეს.

განათლების სამინისტროს ამ პრინციპულმა გადაწყვეტილებამ სპორტსაზოგადოებების მუშაკთა გულისწყრომა გამოიწვია და არსებითად მდგომარეობა ამ მხრივ არ შეცვლილა. ასევე არასწორად არის გაგებული სამინისტროს სისტემის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლებში „სპორტსაზოგადოებების შეფობის“ საკითხი. სპორტსაზოგადოებები დაბეჯითებით მოითხოვენ შეფობას სპეციალიზებულ სპორტსკოლებზე, რომლებსაც ყველა პირობა აქვთ მაღალი რანგის სპორტსმენთა აღზრდისთვის. ეს მაშინ, როცა მათ არ სურთ შეფობა გაუწიონ რაიონის სპორტსკოლებსა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს. აუცილებლად მიგვაჩნია, აგრეთვე, სპორტსაზოგადოებებმა გააქტიურონ მუშაობა სპეციალიზებული სპორტული კლასების გახსნისთვის.

ანალოგიური შენიშვნები გვაქვს უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლების მიმართ.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ცალკეული სპორტსაზოგადოებები, უწყებები (მათ შორის განათლების სამინისტროც), უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლები წლიდან წლამდე დიდი გადაჭარბებით ასრულებენ ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების გეგმის ძირითად მაჩვენებლებს, წარმატებებს აღწევენ მაღალთანრიგოსან სპორტსმენთა მომზადებაში, მაგრამ სსრ კავშირის ხალხთა VI და მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადებში მთელ რიგ სახეობებში პოზიციები დავთმეთ. ჩვენი აზრით, ეს უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხი ცალკე კვლევასა და მსჯელობას მოითხოვს.

განათლების სამინისტროს და საქართველოს სპორტკომიტეტის თხოვნით რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო უახლოეს ხანებში განიხილავს ბავშვთა სპორტის განვითარების საკითხს. ვფიქრობთ, პრობლემათა დიდი ნაწილი გადაიჭრება, მაგრამ ორგანიზაციული მუშაობის სისუსტე იყო და რჩება ბავშვთა სპორტის განვითარების შემაფერხებელ მთავარ მიზეზად.

შრომის მეცნიერული ორგანიზაცია და მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის, ბავშვთა სპორტის დღევანდელ მოთხოვნათა დონეზე მართვა განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილების, ფიზიკური აღზრდის რესპუბლიკური მეთოდკაბინეტის, რესპუბლიკური სპორტსკოლის მთავარი ზრუნვის საგანი უნდა იყოს.

● **ალბათ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებაც ბევრი გაქვთ სათქმელი...**

— მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სპორტული ბაზებით უზრუნველყოფის საქმე საგრძნობლად გაუმჯობესდა, ეს საკითხი გადაჭრილად ჯერ კიდევ არ შეიძლება ჩაითვალოს. სპორტული დარბაზები სკოლების მხოლოდ 30 პროცენტს აქვს. რესპუბლიკაში ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლების 86 პროცენტს საკუთარი ბაზა არ გააჩნია. ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა მიუხედავად, სკოლები კვლავ სპორტული დარბაზების გარეშე შენდება. ამასთანავე, ხშირად სასკოლო სპორტდარბაზების პროექტები თანამედროვე მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს.

ფორმალიზმისა და უპასუხისმგებლობის ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს გლდანის 1-ლი და მე-2 სკოლა-ინტერნატების ბაზების მშენებლობა.

სკოლა-ინტერნატების მუშაობის გასაუმჯობესებლად და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად ზემდგომმა ორგანოებმა 1968 წლიდან დღემდე მრავალი დადგენილება მიიღეს, რომლებიც ან საერთოდ არ სრულდება, ან — ნაწილობრივ. გლდანის მე-2 სკოლა-ინტერნატის ბაზების მშენებლობა, მაგალითად, 1968 წლიდან დღემდე გრძელდება. იგივე სურათია 1-ელ სკოლა-ინტერნატშიც (ავარიულ მდგომარეობაშია სასწავლო და საძინებელი კორპუსები, არსებული ბაზები უვარგისია).

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ბევრგან არსებულ სასკოლო ბაზებსაც არ უვლიან, ნაკლებ ეფექტურად და ზოგჯერ არადანიშნულებისამებრ იყენებენ. მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მოსაწყობად სათანადოდ არ არის გამოყენებული მოსწავლე ახალგაზრდობისა და პედაგოგიური კოლექტივის შესაძლებლობები.

მდგომარეობის გამოსწორების მიზნით განათლების სამინისტრო, რესპუბლიკური პროფსაბჭო, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის სპორტკომიტეტი 1976-1980 წლებში ატარებენ სასკოლო სპორტული ბაზების მშენებლობის რესპუბლიკურ დათვალიერება-კონკურსს. მომზადდა და სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანიზაციებს დაეგზავნა მარტივი ტიპის სპორტული მოედნებისა და ნაგებობების გეგმა-ნახაზები და რეკომენდაციები.

საუბარი ჩაიწერა დ. ჭელიძემ.

ივერიელი

ის, რაც რეპორტაჟს მიღმაა

დასასრული

ისე, როგორც შეუძლია. ხშირად თამაშის ხარისხი აშკარად სჭარბობს შედეგს, მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ ესტონელებმა რამე დააკლეს თანამედროვე კალათბურთს, ან ვერ გაიგეს, ანდა, კიდევ მხარი არ აუბეს.

მაგრამ „კალევს“ და ესე იგი მთელს ესტონურ კალათბურთს მუდამ ჰქონდა პრობლემები. წინათ ეს პრობლემა სიმაღლე იყო. დღეს, როგორც ჩანს, ეს საკითხი მეტნაკლებად მოგვარდა აბელიანოვისა და ვიქტოროვის წყალობით. სამაგიეროდ, კოლექტივში თავისი ადგილი და როლი დაკარგეს „პატარებმა“, პირველ ყოვლისა ტამისტემ და კრიკუნმა. კალათბურთში შეტევა უკანა ხაზიდან იწყება. ეს რგოლი მეტნაკლებად განსაზღვრავს წინა ხაზის შედეგიანობასა და ეფექტურობას. ჩვენ ყველას გვახსოვს, რა ძალა იყო „კალევში“ უკანა ხაზი და რამდენი უსიამოვნო მოგონება დაგვიტოვა მან. ახლა უკანა ხაზი იმავე ტამისტესა და კრიკუნის შემადგენლობით მხოლოდ ფორმალური დანამატია თავდასხმისა, სადაც უდავოდ გამოირჩევა ცენტრალური ფიგურა — აბელიანოვი.

„დინამოში“ ეს ყველაფერი უფრო რეალურად და სოლიდურად მოჩანდა. ამიტომ მხოლოდ ფსიქოლოგიურ ავანსზე ყურადღების გამახვილება შეცდომა იქნება. უკანა ხაზის როლი მთავარია „დინამოშიც“. ამდენად იგი განსაზღვრავს არა მარტო წინა რგოლის ეფექტურ თამაშს, არამედ გუნდის მთელ საბრძოლო პოტენციალს. გუშინწინ „დინამომ“ მერვე წუთზე დაკარგა ამ ხაზის ბერკეტი — ჩიხლაძე. მაგრამ ეს დანაკლისი მწვავე არ გამოდგა მისთვის. ჩხიკვაძემ ნ. ქორქიასთან ერთად საკმაოდ ეფექტურად შეასხა ხორცი პირველ ჩანაფიქრს.

წინ, როგორც ყოველთვის, იყო საკმაოდ მობილური ჯგუფი თავდამსხმელებისა — დაუღალავი და მუდამ მებრძოლი მ. ქორქიას მეთაურობით. აქ ყველაფერი რიგზეა, როცა მ. ქორქიას გვერდით პულავსკი და ახალგაზრდა დერიუგინი თამაშობენ და როცა უკანა რგოლი მათთან გამუდმებით კონტაქტს ამყარებს. რა ვუყოთ მერე, რომ დერიუგინ — აბელიანოვის ბრძოლაში ერთგვარი უპირატესობა ესტონელის მხარეს აღმოჩნდა. დერიუგინის საკალათბურთო პორტრეტი ახლა იწერება და მასში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის დასახვეწი. ერთი ნაბიჯით, როგორი ეფექტურიც უნდა იყოს ის, დიდ სპორტში მოსვლა არ შეიძლება. ამას დრო სჭირდება, დიდი დრო, მუშაობა და მოთმინება. მთავარი ის არის, რომ ჩვენი ახალგაზრდა ცენტრალური თავდამსხმელი სწორ გზას ადგას, აბელიანოვის მსგავსი წინააღმდეგობა კი მას ცხოვრებაში ბევრჯერ შეხვდება.

მოკლედ, „დინამომ“ დაამარცხა „კალევი“ საკალათბურთო ხელოვნების ყველა რგოლში. იყო მომენტი, როცა ეს უპირატესობა 27 ქულითაც კი აღირიცხებოდა. მაგრამ ამას ბოლოს და ბოლოს ისეთი გადამწყვეტი მნიშვნელობა არცა აქვს (თუმცა საბოლოო შედეგმა ერთგვარად გააფუჭა საერთო შთაბეჭდილება). მთავარი, ჩვენი აზრით, ისაა, რომ გუნდმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა მიზნისკენ და რომ ეს ნაბიჯი თავიდან ბოლომდე სწორი იყო და გათვლილი.

ის, რაც ზემოთ ვთქვი, ალბათ გრძნობით უფრო ნაკარნახევი, ვიდრე გონებით, არც ეს არის დანაშაული. გუშინწინდელი მატჩის ტელერეპორტაჟს მთელი საქართველო ადევნებდა თვალს, ამიტომ ფიზიკას ისევ ლირიკა ვამჯობინე.

ნ. გუგუშვილი.

* * *



ს უ რ ა თ ზ ე: გუშინწინდელი მატჩის მომენტი

ა. კოტორაშვილის ფოტო.

●

25 თებერვალს ნიკოლაევში გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა გუნდების უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მატჩი. ადგილობრივმა „სპარტაკმა“ დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა სვერდლოვსკის „ურალმაში“ — 117:107 (61:49).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 26 თებერვლისთვის

	თ.	მ.	წ.	ქ.
ცსკა	19	18	1	18
„დინამო“ მოსკოვი	21	16	5	16
„სპარტაკი“ ლენინგ.	21	15	6	15
„სტროიტელი“ კიევი	18	14	4	14
„დინამო“ თბილისი	20	13	7	13
„კალევი“ ტალინი	20	11	9	11
„ჟალგირისი“ კაუნასი	17	8	9	8
რტი მინსკი	19	7	12	7
„სპარტაკი“ ნიკ.	20	6	14	6
ასკ რიგა	18	5	13	5
„სტატიბა“ ვილნიუსი	19	5	14	5
„სპარტაკი“ ვლ.	17	4	13	4
„ურალმაში“ სვერდ.	19	2	17	2

პრეტენდენტთა მატჩები

ფიდე-ს გადაწყვეტილებით, დღეს სტარტს აიღებს ვაჟთა შორის მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა სამი მეოთხედფინალური მატჩი. ე. მეკინგი (ბრაზილია) და ლ. პოლუგაევსკი (სსრ კავშირი) ერთმანეთს შეხვდებიან შვეიცარიის ქალაქ ლიუცერნში, ლ. პორტიში (უნგრეთი) და ბ. ლარსენი (დანია) — ქალაქ როტერდამში (ჰოლანდია), ბ. სპასკი (სსრ კავშირი) და ვ. ჰორტი (ჩეხოსლოვაკია) — ისლანდიის დედაქალაქ რეიკიავიკში. ტ. პეტროსიან (სსრ კავშირი) — ვ. კორჩნოის მატჩი, რომელსაც ფლორენციის (იტალია) მეზობელი ქალაქი ჩიოკო უმასპინძლებს, მარტის მეორე ნახევარში დაიწყება.

რა თქმა უნდა, პრეტენდენტთა მატჩები დიდ სპორტულ ინტერესს იწვევს. სწორედ მათ შორისაა ის მოჭადრაკე, რომელიც 1978 წელს ა. კარპოვს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში შეხვდება მაგრამ ვინ არის იგი? ძნელია იწინასწარმეტყველო, რადგან ყველა პრეტენდენტი საკმაოდ გამოცდილი და ერუდირებული დიდოსტატია. მაგრამ არის ზოგიერთი ნიუანსი (ასაკი, სპორტული ფორმა და სხვ.), რასაც შეუძლია მცირე, მაგრამ გამარჯვებისთვის საკმარისი უპირატესობა მისცეს ერთ მეტოქეს.

საინტერესოა, რას ამბობენ თვით პრეტენდენტები? მეკინგი, სპასკი, პეტროსიანი და პოლუგაევსკი დუმილს ამჯობინებენ. საბჭოთა დიდოსტატებს არ უყვართ ზედმეტი ლაპარაკი. ამჟამად მეკინგიც თავს იკავებს, თუმცა უწინ არ მალავდა გულისნადებს: კარპოვის მეტოქე მე ვიქნებიო. ლარსენს სჯერა, რომ ფინალურ მატჩშიც გაიმარჯვებს. ჰორტსაც დიდი იმედი აქვს წარმატებისა, მაგრამ ყველა ეს შეხედულება სუბიექტურია და ამიტომ სავსებით სარწმუნოდ არ შეიძლება ჩაითვალოს.

ბევრი სპეციალისტის აზრით, წარმატების შანსი მხოლოდ ახალგაზრდებს აქვთ. ახალგაზრდები კი არიან მეკინგი და ჰორტი: პირველი ოცდახუთი წლისაა, მეორე — ოცდაცამეტისა. დანარჩენი დიდოსტატები ორმოცისა და მეტი ხნისა არიან, მაგრამ უკრიტიკოდ არც ამ შეხედულების მიღება შეიძლება. საეჭვოა, რომ გამარჯვების განმსაზღვრელი მხოლოდ ახალგაზრდობის ფაქტორი იყოს. გამოცდილება, ცოდნა, ხასიათის სიმტკიცე — ამ თვისებების გარეშე წარმატებაზე ფიქრიც ზედმეტია. ყველა ამ თვისებითაა დაჯილდოებული, მაგალითად, მონაწილეთაგან ყველაზე უფროსი, 47 წლის პეტროსიანი. ამიტომ მატჩების ბედის წინასწარმეტყველება სახიფათო საქმეა. ვაცადოთ მეტოქეებს.

მეოთხედფინალურ მატჩებში 12-12 პარტია უნდა გათამაშდეს. ის, ვინც პირველი დააგროვებს 6,5 ან 7 ქულას, გამარჯვებულად გამოცხადდება და ნახევარფინალურ მატჩში განაგრძობს ბრძოლას. ერთ ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდებიან სპასკი — ჰორტისა და ლარსენ — პორტიშის მატჩებში, გამარჯვებულნი, მეორეში ითამაშებენ პოლუგაევსკი — მეკინგისა და პეტროსიან — კორჩნოის ორთაბრძოლებში გამოვლენილი პრეტენდენტები.

პრეტენდენტთა სტარტები დიდ და მიმზიდველ პაექრობას გვპირდება. მხოლოდ შემოდგომაზე შევიტყობთ, თუ ვინ იქნება მსოფლიო ჩემპიონ კარპოვის მეტოქე.

თ. გიორგაძე.

ჭადრაკი

დასვით ლაზიერი

„ლელოს“ ვიქტორინა-კონკურსის პირველი დავალების № 1 ამოცანაში g4 უჯრაზე უნდა იყოს თეთრი ლაზიერი.

მიზანი: პროგრესი, მასობრიობა

8 მარტს იწყება საქართველოს 1977 წლის ჩემპიონატი ფეხბურთში. იგი მიზნად ისახავს სპორტის ამ სახეობის შემდგომ პროგრესს ჩვენს რესპუბლიკაში, მასობრიობის ზრდას, თამაშის კლასის ამაღლებას, ახალ ნიჭიერ ოსტატთა გამოვლენას.

წლეულს I ჯგუფში ითამაშებენ: ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი), „მაღაროელი“ (ჭიათურა), „მეტალურგი“ (რუსთავი), „მეშახტე“ (ტყიბული), „ნადიკვარი“ (თელავი), „სალხინო“ (გეგეჭკორი), „მერცხალი“ (მახარაძე), „განთიადი“ (თბილისი), ასკ (თბილისი), „ივერია“ (ხაშური), „ეგრისი“ (ცხაკაია), „იმერეთი“ (წულუკიძე), პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი), „კოლხეთი“ (ფოთი), „დურუჯი“ (ყვარელი), „კოლხეთი“ (ხობი), „სქური“ (წალენჯიხა), „იბერია“ (საჩხერე), „მზიური“ (გალი), უნივერსიტეტი (თბილისი), „მეტალურგი“ (ზესტაფონი), „სპარტაკი“ (ცხინვალი), „ქართლი“ (გორის რაიონი), „ამირანი“ (ოჩამჩირე).

II ჯგუფის მონაწილე გუნდები გაყოფილი არიან ორ ზონად. I ზონაში გამოდიან: „ვარძია“ (ასპინძა), „მადნეული“ (ბოლნისი), „გარეჯი“ (საგარეჯო), „ალაზანი“ (გურჯაანი), „ჰერეთი“ (ლაგოდეხი), „მესხეთი“ (ახალციხე), „სამცხე“ (აწყური), „ქიმიკოსი“ (ახმეტა), „განახლება“ (ადიგენი), „იბერია“ (ქარელი), „ჩამომსხმელი“ (ბორჯომი), „არაგვი“ (მცხეთა), „ცისკარი“ (სიღნაღი), „არაგვი“ (დუშეთი), „ქიმიკოსი“ (რუსთავი), „თრიალეთი“ (წალკა), „მეშაქრე“ (აგარა), „განთიადი“ (კასპი); II ზონაში ითამაშებენ: „შუქურა“ (ქობულეთი), „სულორი“ (ვანი), „ტორპედო“ (გაგრა), „ენერგეტიკოსი“ (თერჯოლა), „ბახმარო“ (ჩოხატაური), „გიგანტი“ (ლაითური), „მექაფალდე“ (ზუგდიდი), „შახტიორი“ (ტყვარჩელი), „ავტომობილისტი“ (ბათუმი), ხის დამმუშავებელი კომბინატი (სამტრედია), „ავტომობილისტი“ (მაიაკოვსკი), „ნავადული“ (ჩხოროწყუ), „სამგურალი“ (წყალტუბო), „მშენებელი“ (ჭიათურა), „ოჯალეში“ (გეგეჭკორი), სოხუმსელსაწყო (სოხუმი).

დებულების თანახმად, I ჯგუფში ბოლო 4 ადგილზე გასული გუნდები 1978 წლისთვის გადავლენ რესპუბლიკური გათამაშების II ჯგუფში, ხოლო II ჯგუფის ზონებში პირველ ადგილებზე გასულნი I ჯგუფში ითამაშებენ.

II ჯგუფის ზონებში ბოლო 2 ადგილზე გასული გუნდები გაისად ზონალურ პირველობაში გადაინაცვლებენ.

საკავშირო გათამაშებაში „ა“ კლასის II ლიგის გუნდებს შორის საქართველოდან გამოდის 7 კოლექტივი. მათ შორის ბოლო, მე-7 ადგილზე გასული 1978 წელს II ლიგაში თამაშის უფლებას კარგავს და ეს ადგილი გადადის რესპუბლიკური სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს განკარგულებაში. ზემოაღნიშნულ 7 გუნდს შორის მე-6 ადგილზე გასული კოლექტივი 2 გადასასვლელ მატჩს ითამაშებს საქართველოს ჩემპიონთან საკუთარ და მეტოქის მინდვრებზე. თუ ამ 2 მატჩმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა ქულებით (ბურთების შეფარდებას მნიშვნელობა არა აქვს), დაინიშნება დამატებითი, მესამე შეხვედრა ნეიტრალურ მინდორზე. თუ იგი ფრედ დამთავრდა (დამატებითი დროის ჩათვლით), საკითხს გადაწყვეტს 11-მეტრიანი დარტყმების სერია. გამარჯვებული 1978 წელს ითამაშებს „ა“ კლასის II ლიგაში, ხოლო დამარცხებული — საქართველოს ჩემპიონატში.

საქართველოს პირველობის მატჩებში მინდორზე უნდა იყოს 2 ახალგაზრდა ფეხბურთელი, დაბადებული 1959 წლის 1 აგვისტოს შემდეგ ან 1960 წელს. მათი შეცვლა შეიძლება მხოლოდ იმავე ასაკის ფეხბურთელებით.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, I ჯგუფის გათამაშება დაიწყება 8 მარტს, თამაშები II ჯგუფის I ზონაში — 27 მარტს, ხოლო II ზონაში — 3 აპრილს.

წლეულს საგანგებო ყურადღება მიექცევა მსაჯთა მიერ მატჩების მაღალ დონეზე მომსახურებას. 28 თებერვალს თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტში მოეწყობა ფეხბურთის მსაჯთა თათბირი (დასაწყისი 19 საათზე), სადაც განიხილება მომავალ გათამაშებათა აქტუალური საკითხები.

კალენდარი

8 მარტი

პოლიტექნიკური ინსტიტუტი — „იმერეთი“, „კოლხეთი“ (ფოთი) — „ეგრისი“, „დურუჯი“ — „ივერია“ (ხაშური), „კოლხეთი“ (ხობი) — ასკ (თბილისი), „განთიადი“ — „სქური“, „იბერია“ (საჩხერე) — „მერცხალი“, „მზიური“ — „სალხინო“, უნივერსიტეტი — „ნადიკვარი“, „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „მეშახტე“, „სპარტაკი“ — „მეტალურგი“ (რუსთავი), „ქართლი“ — „მაღაროელი“, „ამირანი“ — ფიზკულტურის ინსტიტუტი.

12 მარტი

პოლიტექნიკური ინსტიტუტი — „ამირანი“, „იმერეთი“ — „კოლხეთი“ (ფოთი), „ეგრისი“ — „დურუჯი“, „კოლხეთი“ (ხობი) — „ივერია“ (ხაშური), ასკ (თბილისი) — „სქური“, „განთიადი“ — „იბერია“ (საჩხერე), „მერცხალი“ — „მზიური“, „სალხინო“ — უნივერსიტეტი, „ნადიკვარი“ — „მეტალურგი“ (ზესტაფონი), „მეშახტე“ — „სპარტაკი“, „მეტალურგი“ (რუსთავი) — „ქართლი“, „მაღაროელი“ — ფიზკულტურის ინსტიტუტი.

რესპუბლიკური სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო.

თხილამურები

სტარტამდე ერთი წლით ადრე

ფინეთის ქალაქ ლაჰტის მიდამოებში მომავალ ზამთარში გაიმართება მოთხილამურეთა მორიგი მსოფლიო ჩემპიონატი. და აი, ახლა, დიდ სტარტამდე ერთი წლით ადრე, აქ დაიწყო ლაჰტის 52-ე თამაშები.

პირველ დღეს ქალები 5 კილომეტრზე ასპარეზობდნენ, ვაჟებს კი 15 კილომეტრი ჰქონდათ გასავლელი. ქალთა შორის იმარჯვა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ესტაფეტაში 27 წლის ნოვოსიბირსკელმა ზ. ამოსოვამ — 19.54,6. იჟევსკელი გ. კულაკოვა მას 3,2 წამით ჩამორჩა. III ადგილზე გავიდა ვ. შმიდტი (გდრ) — 20.10,0. ოლიმპიური ჩემპიონი, სიქტივკარელი რ. სმეტანინა ფინიშთან მეოთხე მივიდა — 20.15,9.

სამაგიეროდ, ვაჟთა შეჯიბრებაში იმარჯვა სიქტივკარელმა სპორტსმენმა. სსრ კავშირის შვიდგზის ჩემპიონმა ვ. როჩევმა 15 კილომეტრის გავლას 51 წუთი და 41 წამი მოანდომა. მან თითქმის 20 წამი მოუგო მასპინძელთა გუნდის იმედს, მოთხილამურეთა შორის ყველაზე მაღალ (ორმეტრიან) სპორტსმენს ი. მიეტოს.

მეორე დღეს ქალები მათთვის უჩვეულო დისტანციაზე — 20 კილომეტრზე დარბოდნენ. საპრიზო ადგილები აქაც იმავე თანამიმდევრობით განაწილდა, როგორც 5 კილომეტრზე: ამოსოვა, კულაკოვა, შმიდტი.

ფარიკაობა

გაიმარჯვა უნგრელმა

ტალინი, 25 თებერვალი. (საქ. დესის კორ.). დაშნით მოფარიკავეთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში, რომელსაც „ტალინური მახვილი“ ჰქვია, ყველას აჯობა უნგრელმა სპორტსმენმა ე. კოლგონაიმ. სააასპარეზოდ მონაწილეთა ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. „ფარიკაობის ქვეყნებიდან“ სპორტსმენები მხოლოდ შვეციასა და საფრანგეთს არ გამოუგზავნიათ.

ბრძოლის დაძაბულობას ის ფაქტიც მოწმობს, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი მოფარიკავე, ლენინგრადელი ბ. ლუკომსკი და მსოფლიო ჩემპიონი, მონრეალის ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებული ა. პუში (გფრ) ფინალში ვერ გავიდნენ.

II ადგილი დაიკავა ტალინელმა ა. ლიივაკმა, III — ლ. ანჟელესკუმ (რუმინეთი).

თბილისის სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი ჭაბუკთა შორის. 27 თებერვალი. „დინამოს“ ბაზა დიღომში. „დინამო“ (თბილისი) — „სპორტინტერნატი“ (თბილისი). დასაწყისი 14 ს. 8 მარტი. მაუდ-კამვოლის კომბინატის სტადიონი. განათლების განყოფილება (თბილისი) — „ავაზა“ (თბილისი). 16 ს.

მეგობრული სამხტომი

ვიქტორ სანეევი და ირჟი ვიჩიხლო გვესაუბრებიან სამხტომზე და თავის თავზე

სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონს სამხტომში, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ვიქტორ სანეევს დიდ სარბიელზე მოპოვებულ გამარჯვებებთან ერთად 1976 წელმა სხვა სიხარულიც მოუტანა. საბჭოთა კავშირში მეორე და საქართველოში პირველ სპორტსმენად აღიარებულმა თბილისელმა ათლეტმა ევროპაში უძლიერესის სახელიც დაისაკუთრა.

წინ არის ახალი წარმატებები, ახალი საპასუხისმგებლო შეჯიბრებები, მაგალითად, ევროპის ჩემპიონატი 1978 წელს. ამასთან დაკავშირებით ჩეხოსლოვაკიის პოპულარულმა სპორტულმა ჟურნალმა „სტადიონმა“ გამოაქვეყნა მეტად საინტერესო საუბარი ვიქტორ სანეევთან და ამ ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს სამხტომელთან ირჟი ვიჩიხლოსთან. ორივე სპორტსმენი აგერ უკვე ათეული წელია თითქმის ყველა ჩემპიონატსა და მნიშვნელოვან საერთაშორისო შეჯიბრებაში მონაწილეობს. ამიტომ ისინი მეტოქეებიც არიან და მეგობრებიც. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი გაზეთის მკითხველი ინტერესით გაეცნობა სპორტის ცნობილი ჩეხი მიმომხილველების ირჟი ლაცინას და ვლადიმირ ვიშეკის წერილს, რომლის თარგმანსაც დღეს გთავაზობთ.

KAMARÁDSKÝ
TROJSKOK

● **გახსოვთ თუ არა პირველი შეხვედრა ერთმანეთთან?**

ვიჩიხლო: ეს იყო 1964 წელს ვარშავაში, ევროპის იუნიორთა თამაშებში. ჩემს თავს სამხტომის ნამდვილ ფანატიკოსად მივიჩნევ და ამიტომ წარმოგიდგენიათ ალბათ, რა სიხარული მომიტანა ვიქტორ სანეევის დანახვამ. ახოვანი, დისპოზიციის დიდი უნარისა და ბრწყინვალე მომავლის მქონე სპორტსმენი — ასეთი შევიცან იგი ვარშავაში. გამაოცა მისმა ტექნიკამაც, თუმცა ვიქტორი მაშინ მეორე ადგილზე გავიდა, მე კი მეექვსე ვიყავი.

სანეევი: რასაკვირველია, ირჟიმ მეც დამაინტერესა. სხვათა შორის, ორივენი მუდამ ფინალისტები ვართ. საინტერესოა ერთი გარემოება: ვარშავაში გამართული მაშინდელი შეჯიბრების მონაწილეთაგან თითქმის ყველა გამოეთხოვა სპორტს, ჩვენ ორნი კი დღესაც არ ვტოვებთ სარბიელს. აღსანიშნავია, რომ შეჯიბრებებში აღარ გამოდის ისეთი მაღალი კლასის სამხტომელი, როგორიცაა ზიგფრიდ დენეა.

ეს შეკითხვა ირჟისა და ვიქტორს მივეცით გასული წლის სექტემბერში, როცა ბრატისლავაში მიმდინარეობდა მძლეოსანთა ტრადიციული შეჯიბრება „პრავდა — ტელევიზიე — სლოვნაფტის“ პრიზზე (ეს ასპარეზობა თითქმის ევროპის ჩემპიონატს უდრის). ორი მეტოქე და მეგობარი — სანეევი და ვიჩიხლო სპორტულ ფორმებში გამოწყობილი ისხდნენ ბრატისლავის სასტუმროს ჰოლში და საუბრობდნენ. წინადღით ისინი სპორტულ მოედანზე შეხვდნენ ერთმანეთს.

● **კმაყოფილი ხართ თუ არა შედეგით?**

სანეევი: ბრძოლა, შეიძლება ითქვას, დრამატული არ ყოფილა. არც ჩემი გამარჯვება მიმაჩნია განსაკუთრებულად (მერე მან თავი ირჟისკენ მიაბრუნა და ღიმილით განაგრძო საუბარი). ირჟისთვისაც 16 მეტრი და 60 სანტიმეტრი საშუალო შედეგია.

ვიჩიხლო: სწორია, მაგრამ თავს მაინც გამარჯვებულად ვთვლი, რადგან ამჯერად მივუახლოვდი ვიქტორის შედეგს. ახლა მაინც ვიტყვით მეც და ჩემი გულშემატკივრებიც, რომ ზოგჯერ შემიძლია წინააღმდეგობა გავუწიო სანეევს. გატოლებისა კი რა მოგახსენოთ.

● **სპორტის მოყვარულებს კარგად გვახსოვს თქვენი განმეორებითი შეხვედრა 1970 წელს. გააღრმავა თუ არა მან თქვენი პირადი კონტაქტები არა მარტო სპორტული ურთიერთობის, არამედ მეგობრობის თვალსაზრისით?**

ვიჩიხლო: აკი გითხარით, პირველი შეხვედრისთანავე მომხიბლა ვიქტორის ოსტატობამ. არ მინდოდა ასე უბრალოდ გაცნობის შემდეგ ასევე უბრალოდ გამოვთხოვებოდი და მისი ამბავი შეხვედრიდან შეხვედრამდე აღარ შემეტყო. ამიტომ ავდექი და წერილი მივწერე. მსურდა გავცნობოდი მისი წვრთნის მეთოდს, ცხოვრებას.

სანეევი: წერილი წავიკითხე თუ არა, მაგიდას მივუჯექი. გულდასმით აღვწერე ჩემი ნათლობა მძლეოსნობის ამ სახეში, წვრთნის მეთოდები და საერთოდ ყველაფერი ჩემი გამოცდილებიდან, რაც კი შემეძლო უცხოელი მეგობრისთვის გამეზიარებინა.

ვიქტორ სანეევი იმ ხანად ორი ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელი იყო, ირჟი ვიჩიხლო კი ევროპის ჩემპიონატში პირველად მონაწილეობდა. თუმცა, ორი წლით ადრე რომში არც სანეევს გაუმართლა — მსოფლიოში უბრწყინვალეს სამხტომელს...

ვიჩიხლო: როგორც კი მითხრეს ვიქტორი პრაღაშიაო, მაშინვე გავეშურე მის სანახავად. სასადილოში დავინახე. ვერ მოვითმინე და მივედი. სწორედ იქ მივულოცე მესამე ოლიმპიური მედლის მოპოვება. მან დანა-ჩანგალი გვერდზე გადადო, წამოდგა, ხელი გამომიწოდა და ასე დავიწყეთ ჩვენი მეგობრული საუბარი.

სანეევი: შეჯიბრების დროს ირჟი ერთ ადგილზე ვერ ისვენებდა, როგორც შევატყვე, თავის მეტოქეს — პოლონელ სპორტსმენს დიდ პატივს სცემდა და რიდი ბორკავდა. ვუთხარი: მოწინააღმდეგის ნიჭი და სახელი ნუ გაშინებს, შენ შეგიძლია მას აჯობო, ოღონდ სტარტზე ზედმეტად ნუ ფიქრობ-მეთქი. მეორე ცდაზე მისი გამორბენი არ მომეწონა, გავუსწორე, რჩევა მივეცი, პრაქტიკულად ვაჩვენე კიდეც ტანის მოძრაობა...

ვიჩიხლო: და მესამე ცდაზე უკვე მაღალ შედეგს მივაღწიე.

სანეევი: მართლაც ასე იყო. მაგრამ წარმატების საფუძველი მხოლოდ ირჟის კარგი მონაცემები გახლდათ.

● **დღევანდელი სპეციალისტები სამხტომს კონსტრუირებულ ხელოვნებად მიიჩნევენ, რადგან ამ სახეობის წარმომადგენელი კარგი მორბენალიც უნდა იყოს და სიმაღლეზე მხტომელიც. სამხტომი ჩვენც ამგვარი სინთეზის ნაყოფად გვესახება. ამასთან დაკავშირებით ხომ არ გვეტყოდით რაიმეს?**

სიტყვა დამთავრებული არ მქონდა, რომ ირჟიმ პასუხი მომაგება:

ბავშვობაში ძალიან მიყვარდა ტბაზე ხეტიალი. ერთხელ მივედი ტბასთან და უცებ ძალიან მომინდა მისი გადალახვა ერთი ნაპირიდან მეორემდე. ცურვა არ ვიცოდი. როგორ მოვქცეულიყავი? ან ირგვლივ მთელი ნაპირი უნდა შემომერბინა, ან ნავით გადამეცურა. ავწრიალდი. კარგად რომ დავაკვირდი, ტბის ზედაპირზე მოლივლივე შროშანები შევამჩნიე. ბევრი აღარ მიფიქრია: ჯერ ერთ შროშანას მოვექეცი თავზე, მერე მეორეს. ასე ხტუნვა-ხტუნვით მივაღწიე მეორე ნაპირამდე...

(ვიქტორი ყურადღებით უსმენდა ირჟის და გულიანად ხითხითებდა. როგორც ჩანს, მოეწონა მეგობრის მიერ ასე პოეტურად აღწერილი ცხოვრებისეული მაგალითი).

● **ორიოდ სიტყვას ხომ ვერ გვეტყოდით სამხტომის ისტორიიდან?**

ვიჩიხლო: ეს მართლაც საინტერესოა: წამიკითხავს, რომ სამხტომი ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში წარმოიშვა, უფრო გვიან კი იგი ირლანდიელთა საყვარელი გასართობი იყო. სამხტომი არ გახლავთ სპორტის კონსტრუირებული სახეობა, ეს არის ბუნებრივი და მონოლითურად აღქმული მოძრაობა. ხტუნაობა ყველას უყვარს. განა არ გინახავთ, როგორ დახტიან პატარა გოგონები პარკებში — ცარცით დახაზულ უჯრედებში, რა გატაცებით თამაშობენ „კლასობანას“?

სანეევი: მე დავძენდი, რომ სამხტომი 110 მეტრზე თარჯრბენი არ არის. აქ შეიძლება პირველივე წამზე წაიბორძიკო და თარჯი წააქციო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფინიშამდე საქმეს ვერ გამოასწორებ. უფრო მეტიც, შეიძლება გაიმარჯვო კიდეც. სამხტომში კი ასე არ არის. აქ საბოლოო შედეგს პირველივე გამორბენის ავკარგიანობა განსაზღვრავს. მე ვიტყოდი, რომ სტარტი სამხტომში მთავარია ბუნებრივ მონაცემებთან ერთად.

● **სამხტომი მძლეოსნობის ერთ-ერთი პოპულარული სახეა. ოლიმპიურ თამაშებში მას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. თაობათა ცვლა ამ სახეობაზეც დიდ გავლენას ახდენს. თქვენ და ვიჩიხლომ უკვე ოცდაათ წელს გადააბიჯეთ. მიუხედავად ამისა, სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონს ვიქტორ სანეევს დღემდე არ ჰყავს პოტენციური მეტოქე. საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიური სპორტის საბედნიეროდ, არც თქვენ და არც ვიჩიხლო ჯერ არ აპირებთ სარბიელის დატოვებას. როგორც ვიცი, დღემდე ენერგიას არ უჩივით და ალბათ შედეგის გაუმჯობესებასაც ფიქრობთ, ხომ ასეა?**

სანეევი: უკვე ოცდათერთმეტი წელი შემისრულდა, მაგრამ კარგად მოგეხსენებათ ჩემი შარშანდელი შედეგი. სამხტომი ტექნიკური თვალსაზრისით ძალზე რთული და თავისებურად შემოქმედებითი სახეობაა. ამიტომ აქ კარგ შედეგს განაპირობებს ბრძოლა, ძიება და ისევ ბრძოლა. ჩემი აზრით, ამას შეიძლება მიაღწიოთ ოცდახუთი წლის ასაკში ან უფრო გვიან, ვინაიდან სპორტსმენს ამ ასაკში უფრო მეტი გამოცდილება და ნებისყოფა აქვს. აქედან გამომდინარეობს დასკვნა: კარგი სპორტული ფორმისთვის ოცდაათ წელს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

ვიჩიხლო: ამასთანავე ბედიც უნდა გწყალობდეს და არც ტრავმები გიშლიდეს ხელს. სამხტომი ისეთი თავისებური სახეობაა, ღმერთმა დაგიფაროს მუხლისა და კოჭის ტკივილისგან. მე ამ მხრივ ხშირად ვარ გასაჭირში, ვიქტორი კი ბედნიერი კაცია: არც გამიგია, ოდესმე მსგავსი რამ შემთხვეოდეს.

სანეევი: შეიძლება მართლაც ბედი მწყალობდეს ამ მხრივ, მაგრამ მე ისიც ვიცი, როგორ უნდა გაუფრთხილდეს სამხტომელი თავის თავს, თავის ორგანიზმს, რაც მთავარია, როგორ დაგეგმოს შეჯიბრებებში მონაწილეობა. როცა ირჟიმ მითხრა, სეზონში რამდენჯერ უწევს სარბიელზე გამოსვლა, ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. ნუ გამოხვალ სტარტზე ასე ხშირად, ჩემო ირჟი!

● **ხალხს უთქვამს, დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო. იქნებ ერთ მშვენიერ დღეს სამხტომის სექტორში იუნიორი სანეევის სახელიც გამოაცხადონ?**

სანეევი: ყველაფერი შესაძლებელია. ჩემი ბიჭი ჯერ სამი წლისაა და უამრავი დრო აქვს სპორტთან დამეგობრებისთვის. ვფიქრობ, არ არის აუცილებელი, ჩემსავით მაღალი შედეგები აჩვენოს ან, საერთოდ, სამხტომელი გახდეს. მთავარია მისგან ნამდვილი, კეთილი ადამიანი დადგეს (ამ სიტყვებზე ვიქტორმა ირჟის გადახედა და ჩაიცინა). სამაგიეროდ, ირჟი განაწყენებულია, რომ პრაქტიკაში ქალთა სამხტომი არ არის დანერგილი: ის ხომ ორი ქალიშვილის მამა გახლავთ.

ვიჩიხლო: მართლაც, რა მეშველება? ჩემს ოჯახში მარტო მე ვარ ფანატიკოსი სამხტომელი...

● **როგორც თქვით, ერთმანეთს დიდი ხანია იცნობთ. ერთად გამოსულხართ ჩემპიონატებში, სხვადასხვა შეჯიბრებებში, ოჯახებით მეგობრობთ. ხომ არ გვეტყოდით ორიოდ სიტყვით, რას ფიქრობს სანეევი ვიჩიხლოზე და ვიჩიხლო — სანეევზე?**

სანეევი: ირჟი ჩემი კარგი მეგობარია. იგი მოკლებული არ არის იუმორის გრძნობას. მასთან ყოფნა ყოველთვის სასიამოვნოა. როგორც სპორტსმენი, უდიდესი ნებისყოფითა და ჟინით გამოირჩევა. სამხტომი ფანატიკურად უყვარს. გულით მინდა როგორმე გადალახოს 17 მეტრის ზღვარი, თავის უკანასკნელ შედეგს — 16,87 მეტრს 13 სანტიმეტრიც მიუმატოს.

ვიჩიხლო: ვიქტორი ყველა დროის საუკეთესო სამხტომელია მსოფლიოში. ამასთანავე, იგი საოცრად თავმდაბალი ადამიანია. ახლახან ვუთხარი, რომ მოუთმენლად ველი ევროპის მომავალ ჩემპიონატს პრაღაში, სადაც კიდევ ერთხელ მომიწევს საპატიო კვარცხლბეკზე მდგარს გამარჯვება მივულოცო. ეს გახლავთ მთელი ჩვენი ქვეყნის სამხტომელთა აზრი, მათ შორის ჩემი ოჯახის სურვილიც.

თარგმნა ალეკო კაკულიამ.

შალვა ნაჭყებია

71 წლისა გარდაიცვალა ფიზკულტურისა და სპორტის ღვაწლმოსილი მუშაკი, საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი, სპორტის ოსტატი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, სკკპ წევრი 1944 წლიდან შალვა ილიას ძე ნაჭყებია.

შ. ნაჭყებია დაიბადა ქუთაისში, მოსამსახურის ოჯახში. იგი ქუთაისის ვაჟთა 1-ლ ჰუმანიტარულ სასწავლებელში სწავლის დროს შევიდა კომკავშირში. მოწაფეობაშივე დაიწყო „სპარტაკში“ მუშაობა. 18 წლის ჭაბუკი აქტიურად მონაწილეობდა მენშევიკების წინააღმდეგ მებრძოლ რაზმებში. საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის საგზურით ექვს წელიწადს იყო თელავში ფიზკულტურის მასწავლებლად, შემდეგ ქუთაისში დაბრუნდა და 1940 წლამდე პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზკულტურის უფროს მასწავლებლად მუშაობდა, ხოლო 1940 წლიდან ხუთი წლის მანძილზე საბჭოთა არმიაში მსახურობდა. დემობილიზაციის შემდეგ იგი კვლავ პედინსტიტუტს დაუბრუნდა. იყო ტანვარჯიშული სკოლის დირექტორი, „სპარტაკის“ საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე, ავტომექანიკური ტექნიკუმის ფიზაღზრდის უფროსი მასწავლებელი.

შ. ნაჭყებია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში. დაჯილდოებული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით, მიღებული ჰქონდა საბრძოლო ჯილდოები.

შ. ნაჭყებიას ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი აღზრდილების, ამხანაგებისა და მეგობრების ხსოვნაში.

ქუთაისის ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტი, ავტომექანიკური ტექნიკუმი, სასტენდო სროლის რესპუბლიკური ფედერაცია.

ესეც შენი გულშემატკივრები!

ბონი. როგორც იუპი-ს სააგენტო იუწყება, გფრ-ის ფეხბურთელთა გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ჰელმუტ შიონმა მოითხოვა სტადიონებზე აიკრძალოს ალკოჰოლიანი სასმელების გაყიდვა, რაც მისი აზრით, ხელს უწყობს ტრიბუნებზე ხულიგნობას. მწვრთნელი ესაუბრა გაზეთ „ბილდ-ცაიტუნგის“ კორესპონდენტს მიუნხენელის კლუბის „კაიზერსლაუტერნის“ და დიუსელდორფის „ფორტუნას“ მატჩის დროს მომხდარი ხულიგნობის შესახებ, დასასრულს კი გულისტკივილით აღნიშნა: „მე გული გამიტყდა ჩვენს გულშემატკივრებზე“. ამ მატჩის მსაჯმა რ. ფრიკელმა თამაში შეწყვიტა 76-ე წუთზე, როცა ალკოჰოლით აგზნებულმა მაყურებლებმა ღრიალი და ბოთლების სროლა დაიწყეს.

ლიგის არსებობის 13 წლის მანძილზე ეს პირველად მოხდა, რომ მატჩი დროზე ადრე შეწყდა მაყურებლების ხულიგნობის გამო.

„სტადიონზე რომ მოდიან, ჯიბეებში სასმელის ბოთლები უწყვიათ, — აღშფოთებულია შიონი. — ჩემი აზრით, საჭიროა ისეთი კონტროლი, როგორც აეროპორტებშია დაწესებული. ეს შეიძლება ძალზე დამამცირებელი იყოს, მაგრამ რა ვქნათ, ხულიგნობას ბოლო უნდა მოეღოს“.

(საქინფორმი).

იგი ჯერ მხოლოდ ოცდახუთისა იყო

[illegible]

იტალიის კალათბურთელთა ოლიმპიური ნაკრების წევრი ლუჩიანო ვენდემინი გასახდელში გარდაიცვალა ქვეყნის პირველობის ერთ-ერთი მორიგი მატჩის დროს. 25 წლის სპორტსმენი, რომლის სიმაღლე 210 სანტიმეტრი იყო, უეცრად გადაფითრდა და გონი დაკარგა. თანაგუნდელებმა იგი მაშინვე საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ ექიმების გულმოდგინება ამაო აღმოჩნდა: ლუჩიანოს გულს აორტა გაუსკდა.

ვენდემინის სიკვდილმა ახალი სკანდალი გამოიწვია, რომელმაც კიდევ ერთხელ გამოააშკარავა სპორტის და ბიზნესის სამარცხვინო კავშირი. როგორც გამოირკვა, ექიმები დიდი ხანია აფრთხილებდნენ კლუბს, რომ ვენდემინი სერიოზულად ავადმყოფი იყო, მაგრამ, როგორც იტალიის გაზეთები გულისტკივილით წერენ, ამას ყურადღება არავინ მიაქცია.

გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ იმ მავნე ჩვევებს, რომლებიც საქმოსანთა წყალობით გაბატონდა იტალიის სპორტში. თვით „სამოყვარულო“ კლუბებს ზურგს უკანაც კი დგანან მდიდარი ფირმები, რომლებიც აშკარად ვაჭრობენ სპორტსმენებით და, რაც იყიდება მათ, ცდილობენ რაც შეიძლება მეტი სარგებლობა ნახონ.

ვენდემინის კლუბს თავისი „პატრონის“ — სასმელებით მოვაჭრე ფირმის „ჯინამარტინის“ სახელი ჰქვია. ფირმის მეპატრონეთა აზრით, ამ სახელით მოასპარეზე გუნდის წარმატებები საუკეთესო რეკლამაა სასმელების ვაჭრობისთვის.

ვ. მალიშევი.
რომი. (ტასს-ის კორ.).

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი ლენინის ქ. № 14. ცნობებისათვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონი ცნობებისთვის 93-97-57.

7 ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 09767